პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიცირება

<u>გამოცდების წესები</u>

პროფესიული გამოცდების ჩატარების წესები სპეციფიკურია და ეფუძნება ACCA-ის საერთაშორისო (ACCA- სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია) პროგრამის მოთხოვნებს, ქცევის ნორმებს და გამოცდილებას.

1. <u>ზოგადი</u>

გამოცდებისათვის მომზადება

- სერტიფიცირების პროგრამაში ჩართული პრეტენდენტი ბაფის გამოცდებისათვის ემზადება დამოუკიდებლად ან/და პბი-ში;
- გამოცდებისათვის მოსამზადებლად პრეტენდენტები უზრუნველყოფილნი არიან ACCA -ის წიგნებით, რომლის თარგმნა-გამოცემის უფლებამოსილება მოპოვებული აქვს ბაფს;
- გამოცდების ჩასატარებლად იქმნება საგამოცდო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, ან მისი რეკომენდაციით კომიტეტის რომელიმე წევრი (საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე);
- საგამოცდო კომისიის მიერ შეირჩევა დაქირავებულ პირთა ჯგუფი (შემდგომში შემფასებელი კომისია), რომელიც უზრუნველყოფს საგამოცდო ტესტების მომზადებას და პრეტენდენტთა ცოდნის შეფასებას.
- გამოცდების ჩასატარებლად შექმნილი საგამოცდო კომისიის ვალდებულებაა პრეტენდენტთა ცოდნის შეფასება, ნაშრომების აუდიტი და გასაჩივრებული ნაშრომის მიმოხილვა.
- პროფესიული განათლების კომიტეტი ადგენს გამოცდების ჩატარების წესებს, პრეტენდენტების გამოცდაზე ქცევის ნორმებს და აკონტროლებს მათ შესრულებას.

2. <u>გამოცდების განრიგი და დამთხვევა</u>

ქვემოთ მოცემული ინფორმაციის გათვალისწინება აუცილებელია ახალი წიგნების არჩევისას, რათა შემდგომში არ მოხდეს არჩეული წიგნების მიხედვით საგამოცდო დღეების გადაფარვა.

<u>გამოცდების განრიგი</u>

მოდულები: **F1, F5, F9, P7**
მოდულები: **F2, F4, F8, სბლ**
მოდულები: **F3, F7, P2**
მოდულები: **F6, P4**

<u>**საგამოცდო დროის ხანგრძლივობა:**</u>

ა) I ეტაპის მოდულებში - **F1-F2 - 2 სთ. 15 წთ;**
F3 - 2 სთ. 30 წთ;
ბ) II ეტაპის მოდულებში: **F4 - 2 სთ. 30 წთ;**
F5, F6, F7, F8, F9 - 3 სთ. 30 წთ;
გ) III ეტაპის მოდულებში **- სბლ - 4 სთ. 30 წთ;**
P4, P7, სსა - 3 სთ. 30 წთ.

3. საგამოცდო პროცედურები

- გამოცდების ორგანიზება, ჩატარება და შედეგების დამტკიცება პროფესიული განათლების კომიტეტის კომპეტენციაა.
- პრეტენდენტი ვალდებულია, გამოცდამდე 10 დღით ადრე გამოცდაზე დარეგისტრირდეს ელექტრონულად **(on-line)** გამოცხადებული წესების მიხედვით.
- ბაფის მიერ პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის (ACCA) გამოცდები ტარდება წელიწადში ორჯერ, ყოველი წლის ივლისსა და იანვარში.
- პრეტენდენტი გამოცდაზე დაიშვება პირადობის მოწმობისა და ბაფის წევრობისა მოწმობის წარდგენის შემდეგ.
- გამოცდების დამთავრების შემდეგ კოდირებული ნაშრომები გადაეცემა შემფასებელ კომისიას.
- პრეტენდენტების გამოცდების შედეგები ქვეყნდება წინასწარ გამოცხადებული თარიღში ბაფის ვებგვერდზე www.gfpaa.ge
- ნაშრომების გასწორება და აუდიტი უნდა დასრულდეს გამოცდების დამთავრებიდან 20 დღის ვადაში.
- წარმატებულად მიიჩნევა პრეტენდენტის ნაშრომი, რომელიც შესაძლო მაქსიმალური 100 ქულიდან დაიმსახურებს მინიმუმ 50 ქულას.
- უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, პრეტენდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს შეფასების შედეგი მისი გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში.
- პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს გასაჩივრების შესაბამისი თანხა (50 ლარი) და საგამოცდო კომისიისაგან მოითხოვოს ნაშრომის ანალიზი, თუ პრეტენდენტს გამოცდის შეფასების ქულა შეეცვალა და მიიღო დადებითი შეფასება, მას უბრუნდება გადახდილი (50 ლარი) საფასაური.
- გასაჩივრების შემთხვევაში, პირველი შეფასების შემდეგ, ნაშრომები ეგზავნება აუდიტორს.
- პრეტენდენტს გადაეცემა შემფასებლის მიმოხილვა თავის ნაშრომზე.
- აუდიტს ექვემდებარება ნაშრომი, რომლის შეფასება მოექცევა ტესტების მაქსიმალური ქულის 45-55 ქულიან შუალედში.
- პირველ ცდაზე წარუმატებლობის შემთხვევაში, მომდევნო საგამოცდო პერიოდში პრეტენდენტს შესაძლებლობა ექნება, ხელახლა ჩააბაროს გამოცდა იმავე წიგნში, პრეტენდენტი იხდის განმეორებით გამოცდაზე გასვლის საფასურს.
- პრეტენდენტი შეზღუდული არ არის, გამოცდა ჩააბაროს შემდგომ საგამოცდო პერიოდში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასერტიფიკაციო პროგრამის სტრუქტურა იცვლება, საგამოცდო წიგნის შეცვლის გამო. საგამოცდო წიგნის შეცვლისას, ამ წიგნით მომზადებული პრეტენდენტებისათვის, რომელსაც გამოცდა არ ექნება ჩაბარებული წიგნის გაუქმების მომენტისათვის, გაუქმებულ წიგნში გამოცდა ჩატარდება მხოლოდ ერთხელ იმ პერიოდში, როდესაც პირველი გამოცდა დაინიშნება შემცვლელ წიგნში).
- პრეტენდენტის ნაშრომები და ტესტების ნიმუშები გამოცდების დამთავრების შემდეგ ინახება პროფესიული განათლების კომიტეტში.

გამოცდაზე გადაწერის მცდელობის, ან სხვა დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში (იხილეთ გამოცდაზე ქცევის წესები), პრეტენდენტი მოიხსნება გამოცდიდან და მისი საგამოცდო ნაშრომი არ გასწორდება.

4. სხვა წესები

<u>გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ შემდეგ წესებს</u>

1. ბაფის გამოცდაზე დაიშვება პრეტენდენტი, რომელსაც ჩაბარებული არ აქვს ინსტიტუტის სემესტრული გამოცდა.
2. ბაფის გამოცდაზე დასაშვებად ყველა პრეტენდენტმა უნდა გაიაროს **on-line** რეგისტრაცია, მონაცემთა ბაზაში მითითებული წესების მიხედვით გამოცდამდე მინიმუმ 10 დღით ადრე.
3. თუ გამოცდაზე დარეგისტრირების შემდეგ **ვერ ახერხებთ გამოცდაზე გასვლას,** გამოცდებამდე **3 დღით** ადრე, <u>წერილობით</u> <u>მიმართეთ ბაფის ადმინისტრაციას,</u> გააუქმეთ გამოცდის განაცხადი და გამოცდის თანხა, კრედიტში შეგენახებათ, **წინააღმდეგ შემთხვევაში, გადახდილი თანხა აღიარდება შემოსავლად (<u>ტელეფონით ინფორმაცია არ მიიღება).</u>**
4. არასწორ ანგარიშზე გადახდის შემთხვევაში, პრედენდენტმა გამოცდამდე უნდა გამოასწოროს დაშვებული შეცდომა და თანხა გადაიტანოს შესაბამის ანგარიშზე.
5. ბაფის გამოცდების ჩატარების ადგილი ქვეყნდება გამოცდების ცხრილთან ერთად.
6. **გამოცდაზე რეგისტრაცია დაიწყება -9.^{45} სთ.** გამოცდები **დაიწყება 10.^{00} საათიდან 10.45 საათამდე** ოთახების შევსების მიხედვით.
7. გამოცდაზე სავალდებულოა ბაფის წევრობისა და **პირადობის მოწმობის წარმოდგენა და რეგისტრაციის ნომრის ცოდნა.**
8. ბაფის გამოცდების შედეგები ქვეყნდება ვებგვერდზე: **www.gfpaa.ge**
9. გამოცდის შედეგის გაპროტესტება მოხდება გამოცდის შედეგის გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში მისამართზე: წერეთლის #61. მითითებული დროის შემდეგ განცხადებები აღარ მიიღება.